


პრეზიდენტი დიტერ ფ. უხტდორფი
პირველი პრეზიდენტობის
მეორე მრჩეველი



ჩვენი გზა კარგია

როცა ვფიქრობ ჩვენი პიონერების მემკვიდრეობაზე, ერთ-ერთი ყველაზე გულისამაჩუყებელი რამ, რაც აზრად მომდის, არის ჰიმნი “მოდით, მოდით, წმინდანებო” ჰიმნები, no. 30). ისინი, რომლებმაც სოლთ ლეიქის ველიდან ხანგრძლივი მსვლელობა მოახდინეს, ხშირად მღეროდნენ ამ ჰიმნს გზაში.

მე მესმის, რომ ყველაფერი კარგად არ ჰქონდათ წმინდანებს. ისინი ავადმყოფობისგან, სიცხისგან, დაღლილობისგან, სიცვიისგან, შიშისგან, შიმშილისგან, ტკივილისგან, ეჭვისგან და თვით სიკვდილისგანაც კი იტანჯებოდნენ.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ყველანაირი მიზეზი ჰქონდათ, ეძახათ: “ჩვენი გზა კარგია”, ისინი ანვითარებდნენ ისეთ დამოკიდებულებას, რომლითაც დღეს აღფრთოვანებულნი ვართ. ისინი პრობლემების მიღმა მარადიულ ლოცვა-კურთხევებს ხედავდნენ. ისინი იმ პირობებში ინარჩუნებდნენ მადლიერებას. მათ მთელი სულითა და გულით სჯეროდათ და მღეროდნენ: “ჩვენი გზა კარგია!”, მიუხედავად იმისა, რომ საპირისპიროს მოწმენი იყვნენ.

ჩვენი ქება ამ პიონერებისა ფუჭია, თუ იგი არ აღძრავს ჩვენში დაფიქრებას. მე მოვიხსენიებ რამდენიმე მათ დახასიათებას, რაც შთამაგონებს, როცა მათ მსხვერპლსა და ვალდებულებას ვუფიქრდები.

თანაგრძნობა

პიონერები ერთმანეთზე ზრუნავდნენ სოციალური, ეკონომიკური ან პოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად. მაშინაც კი, როცა ეს მათ წინსვლას უშლიდა ხელს, აფერხებდა ან მოითხოვდა მათგან პირად მსხვერპლს ან შრომას, ისინი მაინც ეხმარებოდნენ ერთმანეთს.

ჩვენს მიზანმიმართულ, მიკერძოებულ სამყაროში, პირად ან ჯგუფურ დავალებას შეუძლია თვითონ გავიდეს წინა პლანზე და უკან დააყენოს სხვებზე ზრუნვა ან ღვთის სასუფევლის შენების საქმე. დღევანდელ საზოგადოებაში ცენტრალური იდეოლოგიური მიზეზების მიღწევა, როგორც ჩანს, შეიძლება საკუთარი ღირსების საზომად იქცეს.

მიზნების დასახვა და მიღწევა შეიძლება შეესანიშნავი რამ იყოს. მაგრამ როცა მიზნების მიღწევის წარმატება უგულვებელყოფის, იგნორირების, სხვების გულის ტკენის ხარჯზე ხდება, ასეთი წარმატების ფასი ალბათ ძალიან მაღალია.

პიონერები ზრუნავდნენ მათთან მყოფებზე, მაგრამ ისინი ასევე ფიქრობდნენ მათზე, ვინც ურმებით უკან მოსდევდნენ, უტოვებდნენ რა მათ ნათესებს.

მათ იცოდნენ მეგობრებისა და ოჯახების ძალის შესახებ. და რადგან ერთმანეთზე იყვნენ დამოკიდებულნი, გახდნენ ძლიერნი. მეგობრები ოჯახად გადაიქცნენ.

პიონერები გვახსენებენ იმას, რატომ უნდა გავემიჯნოთ ცდუნებას – გამოვეყოთ სხვებს იმის ნაცვლად, რომ დავეხმაროთ ერთნაენთს და გამოვხატოთ ერთმანეთის მიმართ სიყვარული.

სამუშაო

მოდით, მოდით, წმინდანებო, ნუ შეგეშინდებათ ნურც შრომისა და ნურც ტვირთის;

ეს ფრაზა დაქანცული პიონერებისთვის ეროვნულ ჰიმნად იქცა. ძნელია იმის წარმოდგენა, როდენ მძიმედ მუშაობდნენ ეს დიადი სულები. ყველაზე ადვილი საქმე მათთვის სიარული იყო. მათ ერთად უნდა ეშოვათ საჭმელი, შეეკეთებინათ ურმები, მოეკლოთ პირუტყვისთვის, ეზრუნათ ავადმყოფებზე და დასუსტებულებზე, მოედებნათ და მოეგროვებინათ წყალი და თავი დაეცვათ სტიქიებისგან და უამრავი საფრთხისაგან უდაბნოში.

ისინი ყოველ დღით იღვიძებდნენ მკაფიოდ დასახული მიზნებით და შემართებით, რომელიც ყველასთვის გასაგები იყო: ღვთისა და მოყვასის მსახურება და სოლთ ლეიქის ველში ჩასვლა. ყოველ დღე ეს მიზნები და შემართება მათთვის ნათელი იყო; მათ იცოდნენ, რა ესაჭიროებოდათ და რომ ყოველდღიური წინსვლა მნიშვნელოვანი იყო.

ჩვენს დროში, როცა იმდენი რამ, რაც გვსურს, ასე ადვილად მისაღწევია, დიდი ცდუნებაა ზურგი შეაქციო ან ფარ-ხმალი დაყარო მაშინ, როცა წინ სავალი გზა უსწორ-მასწორა ან უცებ ციცაბო აღმართზე ასვლა მოგვიწევს. ასეთ მომენტებში ჩვენ შეიძლება მივიღოთ შთაგონება და ვიფიქროთ იმ მამაკაცებზე, ქალებზე და ბავშვებზე, რომლებიც არ დანებდნენ ავადმყოფობას, გაჭირვებას, სიდულჭირეს, ტკივილს და თვით სიკვდილსაც კი, რათა ამას არ დაებრკოლებინა ისინი არჩეულ გზაზე სიარულისგან.

პიონერებმა ისწავლეს, რომ მძიმე რაღაცის კეთებას გააძლიერა და გაანატიფა მათი სხეული, გონება და სული; განადიდა მათი ღვთიური ბუნების წვდომა და გაამძაფრა მათი სხვების მიმართ თანაგრძნობა. ამ ჩვევამ განამტკიცა მათი სულები და იქცა დალოცვად, დიდი ხნის შემდეგ მათი მთასა და ბარში მოგზაურობისა.

ოპტიმიზმი

როცა პიონერები მღეროდნენ, ისინი მესამე გაკვეთილს ახმოვანებდნენ: “მაგრამ თუ ვივლით დიდ სიხარულით”.

ეს არის ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ირონია – იყო ასე დალოცვილი და ამავდროულად ასეთი უბედური. კეთილდღეობისა და ტექნოლოგიების საოცრებები გვაოგნებს და უხვად აფრქვევს ჩვენზე უსაფრთხოებას, გართობას, წამიერ სიამოვნებასა და მოხერხებულობას. და მაინც, ჩვენს ირგვლივ იმდენ უბედურებას ვხედავთ.

პიონერებს, რომლებმაც ამდენი რამ შეწირეს, არ ჰქონდათ გადარჩენისთვის ელემენტარული ნივთები და ძალიან საჭიროებდნენ მათ. მათ ესმოდათ, რომ ბედნიერება არ მოდის შემთხვევითობის ან ილბლიანობის შედეგად. და როგორც კარგად ჩანს, იგი არც ჩვენი ყოველი სურვილის ახდენის გამო მოდის. ბედნიერება არ მოდის გარე ვითარებიდან. იგი შიგნიდან მოდის, იმის მიუხედავად, თუ რა ხდება ჩვენს ირგვლივ.

პიონერებმა ეს იცოდნენ და ამ სულისკვეთებით ისინი ყოველ ვითარებაში და ყოველ გამოცდაში ბედნიერებას პოულობდნენ, იმ გამოცდებშიც კი, რომლებიც სულის სიღრმეში სწვდებოდა და აფორიაქებდა მათ.

გამოცდები

ჩვენ ზოგჯერ უკან ვიყურებით იმაზე, რაც პიონერებმა გადაიტანეს და შვებით ვამბობთ: “მადლობა ღმერთს, მე იმ დროში არ მიცხოვრია”. თუმცა მე ვფიქრობ იმ მამაც პიონერებზე, მათ რომ დღეს ჩვენ ვენახეთ, ალბათ ჩვენნაირ მწუხარებას არ გამოხატავდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ დრო და ვითარება შეიცვალა, განსაცდელის წინაშე აღმოჩენის და წარმატებულად ერთმანეთთან ცხოვრების პრინციპები, როგორც მზრუნველი და აყვავებული, ღმერთის წინაშე არსებული საზოგადოებისა, არ შეცვლილა.

პიონერებისგან შეგვიძლია ვისწავლოთ ღმერთის რწმენა და ნდობა. ჩვენ შეგვიძლია ვისწავლოთ მოწყალება სხვების მიმართ. ჩვენ შეგვიძლია

ვისწავლოთ, რომ შრომა და სიბეჯითე არა მხოლოდ მიწიერად, არამედ სულიერადაც გვლოცავს. ჩვენ შეგვიძლია ვისწავლოთ, რომ ვითარებების მიუხედავად, ბედნიერება ჩვენთვის შესაძლებელია.

პიონერების მიმართ მაღლიერებისა და პატივის მიგების საუკეთესო ხერხი არის ჩვენს ცხოვრებაში ღმერთის მცნებების, მოყვასის მიმართ თანაგრძნობისა და სიყვარულის, სიბეჯითის, ოპტიმიზმისა და სიხარულის ერთგულება, რასაც პიონერები ასე კარგად ამჟღავნებდნენ თავიანთ ცხოვრებაში.

როცა ასე ვიმოქმედებთ, შევძლებთ გადავწყვედეთ დეკადებს, ხელი ჩავკიდოთ იმ კეთილშობილ პიონერებს და ჩვენი ხმები მათ ხმებს შევმატოთ და მათთან ერთად ვიმღეროთ: “ჩვენი გზა კარგია!” ჩვენი გზა კარგია!”

ამ მოწოდების სწავლება

შეიძლება გაგიჩნდეთ სურვილი, დაიწყოთ შეხვედრა მათთან, ვისაც სტუმრობთ, სიმღერით “მოდით, მოდით წმინდანებო” (ჰიმნები, გვ.30) შეგიძლიათ გაუზიაროთ გამოცდილება, სადაც თქვენ ან ვინმე სხვამ გამოიყენა თანაგრძნობის, სამუშაოს ან ოპტიმიზმის პრინციპები. თუ შთაგონებას მიიღებთ, შეგიძლიათ დაამოწმოთ იმ დალოცვების შესახებ, რომლებიც მოდის ამ პრინციპებით ცხოვრებიდან და დაპირდეთ მათ, ვისაც სტუმრობთ, რომ მიიღებენ ასეთივე დალოცვებს.

ახალგაზრდები

ჩანაწერების გაკეთება

3 რეზიდენტი უხტდორფი ადარებს ჩვენს დღეებს პიონერების დროს. შეიძლება თქვენ არ გადაგილახავთ ველები, მაგრამ იმაზე მეტი პიონერები ხართ, ვიდრე თქვენ ფიქრობთ! თქვენ ასევე შეგიძლიათ გამოხატოთ თანაგრძნობა, ბეჯითად შრომა და ოპტიმიზმი. და ზუსტად როგორც ჩვენ იმ ჩანაწერებიდან ვიცით, რომლებსაც პიონერები აწარმოებდნენ, რომ ისინი ამ თვისებებს ავლენდნენ, ასევე შეუძლია თქვენს შთამომავლობასაც თქვენი გაცნობა ამ დღეებში.

დაუთმეთ რამდენიმე წუთი იმას, რომ ჩაიწეროთ რამე დღიურში საკუთარ თავზე. თქვენ შეგიძლიათ ჩაიწეროთ სულიერი გამოცდილება, მაგალითად, როგორ მოიპოვეთ მოწმობა ან გადალახეთ სიძნელები მამაზეციერის დახმარებით. თქვენ ასევე შეგიძლიათ დაეხმაროთ თქვენს შვილთა შვილებს (რომლებიც, შესაძლოა, როდისმე წაიკითხავენ თქვენს დღიურს!) რათა გაიგონ, როგორი იყო თქვენი ყოველდღიური ცხოვრება. რა პროექტებს ახორციელებთ სკოლაში? როგორ გამოიყურება თქვენი ოთახი? რა არის თქვენს ოჯახთან დაკავშირებული ყველაზე საყვარელი მოგონება?

როცა ყოველდღიურად ცოტ-ცოტას დაწერთ, თქვენ არა მხოლოდ უფრო ნათლად დაინახავთ, როგორ გეხმარებათ მამაზეციერი ყოველდღიურ ცხოვრებაში, ზუსტად ისე, როგორც იგი პიონერებს მიუძღვოდა წინ, არამედ თავად დაუტოვებთ მემკვიდრეობას მომავალ თაობას.

ბავშვები

პიონერების მაგალითზე მიყოლა

3 რეზიდენტი უხტდორფი გვიზიარებს იმ რამდენიმე ხერხს, რომლითაც პიონერები გამოხატავდნენ თავიანთ სიყვარულს მამაზეციერის მიმართ. თქვენ შეგიძლიათ მიჰყვეთ მათ მაგალითს. აი რამდენიმე იდეა დასაწყისისთვის:

თანაგრძნობა

- დაუწერეთ მოწყენილ ადამიანს ბარათი კეთილი სიტყვებით.
- დაეხმარეთ კლასელს საშინაო დავალების შესრულებაში.

სამუშაო

- დასახეთ მიზანი ამ თვეში ყოველ დღე გააკეთეთ ის, რაც დაგეხმარებათ მიზნის მიღწევაში.
- დაეხმარეთ მშობლებს სადილის კეთებაში.

ოპტიმიზმი

- ჩამოწერეთ 10 ბედნიერი რამ თქვენს ცხოვრებაში.
- გაუღიმეთ ყველას, ვისაც ხედავთ.

© 2015 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/15. თარგმანი დამტკიცებულია: 6/15. თარგმანი *First Presidency Message, July 2015. Georgian.* 12587 131



იესო ქრისტეს ღვთიური თვისებები: მიმტევებელი და მოწყალე

რწმენა, ოჯახი, მოწყალეობა

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ გაიგოთ, თუ რა უნდა გაუზიაროთ სხვებს. როგორ ზრდის მაცხოვრის როლისა და ცხოვრების გაგება თქვენს რწმენას მასში და ლოცავს მათ, ვინც თქვენ გაბარიათ, სტუმრად მოსული მასწავლებლის როლში? დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ reliefsociety.lds.org.

ეს არის შინა მასწავლებლის გზავნილების სერიათა ნაწილი, რომელიც ასახავს მხსნელის თვისებებს.

ომის გააზრება, რომ იესო ქრისტე არის მიმტევებელი და მოწყალე, დაგვხმარება სხვების მიტევებაში და წყალობის გაღებაში. პრეზიდენტმა მონსონმა ბრძანა: “იესო ქრისტე არის ჩვენი მაგალითი”. “მისი ცხოვრება სიყვარულის მემკვიდრეობაა. მან განკურნა ავადმყოფები; დააყენა ფეხზე დაცემულები; იხსნა ცოდვილები. ბოლოს, განრისხებულმა ბრბომ მას სიცოცხლე მოუსწრაფა. და მაინც, გოლგოთიდან ზარივით ისმის სიტყვები: “მამაო, მიუტევე ამათ, ვინაიდან არ იციან, რას აკეთებენ” – მიწიერი ცხოვრების დამგვირგვინებელი, სიყვარულისა და თანაგრძნობის გამონათქვამი”.¹ თუ ჩვენ სხვებს მათ შეცოდებებს მივუტევებთ, ჩვენი მამაზეციერიც მოგვიტევებს ჩვენ. იესომ გვთხოვა, “იყავით გულმონაწილენი, ისევე როგორც თქვენი მამა გულმონაწილე” (ლუკა 6:36). “მიტევება ჩვენი ცოდვებისა მოდის პირობებთან ერთად”, ბრძანა პირველი პრეზიდენტობის მეორე მრჩეველმა, პრეზიდენტმა დიტერ ფ. უხთდორფმა.

“ჩვენ უნდა მოვინანიოთ. . . განა ყველანი, ამა თუ იმ დროს, არ მივსულვართ მოწყალეების ტახტთან და არ გვიკედრებია წყალობა? განა სულის მთელი ძალით არ გვინატრია წყალობა - მოგვიტევონ დაშვებული შეცდომები და ჩადენილი ცოდვები? . . . ნება მიეცით ქრისტეს გამოსყიდვას შეგიცვალოთ და განგიკურნოთ გული. გიყვარდეთ ერთმანეთი. მიუტევეთ ერთმანეთს.”²

დამატებითი მასალები წმინდა წერილიდან

მათე 6:14–15; ლუკა 6:36-37; ალმა 34:14-16

წმინდა წერილიდან

“ჩვენ უნდა მივუტევოთ ისე, როგორც ჩვენ მოგვიტევებენ”, - თქვა თორმეტ მოციქულთა ქვორიმის პრეზიდენტმა ჯეფრი ჰოლანდმა.³ შეცდომილი ძის ამბავი გვიჩვენებს მიტევების ორივე მხარეს: ერთ ვაჟს მიუტევებს, მეორეს კი უჭირს მიტევება.

უმცროსმა ვაჟმა აიღო თავისი მემკვიდრეობა, უცებ გაფლანგა იგი და როცა შიმშილობა დაიწყო, იგი მუშაობას შეუდგა - ღორებს აჭმევდა. წმინდა წერილში წერია, რომ როცა “იგი გონს მოეგო”, სახლში დაბრუნდა და უთხრა მამას, რომ არ იყო

ღირსი, მის შვილად წოდებულ იყო. მაგრამ მამამ მიუტევა და ნადიმისთვის ნასუქალი ხბო დაკლა. უფროსი ძმა მინდვირიდან დაბრუნდა, სადაც მუშაობდა და გაბრაზდა. მან მამას შეახსენა, რომ მრავალი წელი ემსახურა, არასდროს არ გადასულა მის ბრძანებას და “ერთხელაც არ მოგიცია ციკანი, რომ მეგობრებთან მე მხიარულა”. მამამ უთხრა მას: “შვილო, შენ მუდამ ჩემთან ხარ და, რაც კი მაქვს, შენია. მაგრამ უნდა ვხარობდეთ და ვმხიარულობდეთ, ვინაიდან შენი ძმა მკვდარი იყო და გაცოცხლდა; დაკარგული იყო და გამოჩნდა” (იხ. ლუკა 15:11-32).

შენიშვნები

1. თომას ს. მონსონი, “The Race of Life,” *ლიახონა*, მაისი 2014, 91.
2. Dieter F. Uchtdorf, “The Merciful Obtain Mercy,” *Liahona*, May 2012, 70, 75, 77; emphasis in original.
3. Jeffrey R. Holland, “The Peaceable Things of the Kingdom,” *Ensign*, Nov. 1996, 83.

განიხილეთ შემდეგი

რა სარგებელი მოაქვს მიტევებას იმისთვის, ვინც პატიობს?